ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №593044

ნომერი: AR1116718

თარიღი : 15.03.2013

გაცემის თარიღი : 18.03.2013

გაცნობის თარიღი : 15.04.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 3 , (ნაკვ.62/6) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რუსუდან სვანიძე პ/ნ 01030006119
- თბილისი დიდი დიღომი დ.თავდადებულის ქ. N 16 ბ. 30

ორგანიზაცია:

- ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი" კოდი: 404384974

ნომენკლატურა :

- თბილისის განვითარების ფონდი
- ასაშენებელი არქიტექტურული ობიექტები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი"–ს მიერ წარმოდგენილი, ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქ. N3–ში (ნაკვ. 62/6) მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურს 2013 წლის 15 მარტს NAR1116718 განაცხადით მომართა ააიპ "თბილისის განვითარების ფონდმა" და მოითხოვა ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქ. N3–ში (ნაკვ. 62/6) მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სამშენებლო დოკუმენტაციის შეთანხმება.

აღნიშნული საკითხი 2013 წლის 19 იანვარს განიხილა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ (ოქმი N7), რომლის დასკვნის საფუძველზეც ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქ. N3–ში (ნაკვ. 62/6) მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტს მიეცა დადებითი შეფასება.

"ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ სამშენებლო საქმიანობის განხორციელებისას სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებასა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ "ქ. თბილისის მერის 2012 წლის 14 თებერვლის N1 ბრძანებით განსხვავებულად რეგულირდება სამშენებლო დოკუმენტაციის წარმოებისა და შეთანხმების საკითხი, როდესაც "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24–ე მუხლის 23–ე, 24–ე და 50–ე პუნქტებით გათვალისწინებულ სამშენებლო საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეული, ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამავე ბრძანების მე–8 მუხლის თანახმად, დამკვეთი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე სამსახურს წარუდგინოს ამ წესით განსაზღვრული სამშენებელო დოკუმენტაცია – განმარტებითი ბარათის და ობიექტის ესკიზური პროექტის ან/და კონსტრუქციულ/ტექნოლოგიური სქემის სახით. აღნიშნული სამშენებლო დოკუმენტაციის მოწონების შემთხვევაში სამსახური წერილობით ითანხმებს და გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან ააიპ "თბილისის განვითარების ფონდი"–ს მიერ სამსახურში შესათანხმებლად წარმოდგენილი იქნა განმარტებითი ბარათი შესაბამისი დასაბუთებით და ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქ. N3–ში (ნაკვ. 62/6) მდებარე შენობის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც მოიწონა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილმა სამეცნიერო–მეთოდურმა საბჭომ, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეითანხმოს წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაცია.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

გადაწყვეტილება N 882014704454-03 (05.01.2015)

სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა განცხადება (No. 882014704454; 26 დეკ 2014; განმცხადებელი: შპს 'გორგასალი', მისამართი:). განცხადებით მოთხოვნილია უძრავ ნივთზე რეგისტრირებულ უფლებაში ცვლილების რეგისტრაცია , მდებარე ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N3 9ნაკვ. N62/6) [ზონა:თბილისი, სექტორი:კრწანისი]

განცხადებაზე თანდართულია:

1. ამონაწერი შესაბამისი (საგადასახადო/იუსტიციის) რეესტრიდან
2. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
3. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი
4. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
5. ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი
6. აზომვითი ნახაზი (დისკი)

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის " საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, ვინაიდან წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით იცვლება რეგისტრირებული ნაკვეთის (საკ. კოდი 1.18.03.062.006) კონფიგურაცია და ადგილმდებარობა ვინაიდან მიწის ნაკვეთის პირველადი რეგისტრაცია განხორციელებული იყო ქ. თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის მიერ 2002 წელს გაცემული მიწის ნაკვეთის გეგმა. მიწის ნაკვეთის გეგმით დადგენილი საზღვრების შესაცვლელად საჭიროა თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან წარმოდგენილი იქნას სათანადო დოკუმენტი, ხოლო რაც შეეხება საკადასტრო აზომვით ნახაზზე დაფიქსირებულ ფართს, გაცნობებთ, რომ აღნიშნულის რეგისტრაციის უფლებამოსილება და ვალდებულება გააჩნია გამყიდველს თანახმად ნასყიდობის ხელშეკრულებისა, რომელშიც აღნიშნული დაკონკრეტებულია, რომ მიწის ნაკვეთის ფართი უნდა გაიზარდოს 459 კვ.მ-მდე, ხოლო რაც შეეხება წარმოდგენილს, აღნიშნულის თქვენს საკუთრებაში რეგისტრაციისათვის საჭიროა დამატებით წარმოადგინოთ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან კორექტირებული საკადასტრო აზომვითი რეგისტრირებული ფართის შესაბამისად.

"საჯარო რეესტრის შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის შესაბამისად შეჩერდეს სარეგისტრაციო წარმოება და შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განისაზღვროს ვადა: 30 კალენდარული დღე. აღნიშნულ ვადაში დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, სარეგისტრაციო წარმოება შეწყდება და გადახდილი მომსახურების საფასური უკან დაბრუნებას არ დაექვემდებარება.

გადაწყვეტილება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო